Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

# გარემო და საზოგადოება

## კონკურსი „სუფთა რეგიონი“
## 2017 წლის გამარჯვებულები



## შინაარსი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება ................. 3

Contest "Clean Region" 2017 ........................................................................................ 6

კონკურსი „სუფთა რეგიონი - 2017“ .............................................................................. 9

ნომინაცია ლამაზი ეზო...............................................................................................14

პაატა გოგელიას ეზო - ზუგდიდი, ახალაბასთუმანი ........................................................ 15

ავთანდილ ტუხაშვილის ეზო - ქ. წნორი........................................................................ 29

კახა დარასელიას ეზო - ქ. ზუგდიდი............................................................................. 31

მერაბ ჭკადუას ეზო - ზუგდიდი, ახალაბასთუმანი ............................................................ 35

შორენა კოჭლამაზაშვილის ეზო - ლაგოდეხი .................................................................. 40

ნომინაცია სუფთა სოფელი - ორსანტია .......................................................................50

ნომინაცია სუფთა ქალაქი - ზუგდიდი..........................................................................54

ნომინაცია სუფთა მუნიციპალიტეტი - კასპის მუნიციპალიტეტი ...........................................59

ნომინაცია სუფთა რეგიონი - გურია ............................................................................61

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060142664782517

**ბრძანება №-735**

**ქ. თბილისი** **02 / ნოემბერი / 2017 წ.**

### კონკურსში „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულების გამოვლენისათვის კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. კონკურსში „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულების გამოვლენისათვის შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

| | | |
|---|---|---|
| ა) | ეკატერინე გრიგალავა | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე; |
| ბ) | ალვერდ ჩანქსელიანი | საქართველოს გარემოსა დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი; |
| გ) | ირმა გურგულიანი | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი; |
| დ) | მარიამ მათიაშვილი | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი; |
| ე) | ეკატერინე ბენდელიანი | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი კომისიის წევრი; |
| ვ) | ნინო ჩხობაძე | საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის |

file:///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/f5bc3776-dfe7-4209-84aa-ed0b01b8070b 1/3

| | | |
|---|---|---|
| | | მეგობრები - საქართველო - თანათავმჯდომარე, კომისიის წევრი; |
| ზ) | მარიამ ქიმერიძე | ბუნების მკვლევართა საერთაშორისო კავშირის „ორქისის" თავმჯდომარე, კომისიის წევრი; |
| თ) | ნანა ჯანაშია | არასამთავრობო ორგანიზათა ქსელის CENN თავმჯდომარე, კომისიის წევრი; |
| ი) | ელენე ლოლაძე | ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა, კომისიის წევრი; |
| კ) | მანანა დევიძე | ა(ა)იპ „კავკასიის ეკოლოგია" ქართულ-ევროპული პალატფორმის წევრი, კომიის წევრი; |
| ლ) | თამაზ ვაშაკიძე | აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კომისიის წევრი; |
| მ) | ნანა ფიროსმანიშვილი | აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კომისიის წევრი; |
| ნ) | ნელი კორკოტაძე | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, კომისიის წევრი; |
| ო) | ეკატერინე ურუშაძე | სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, კომისიის წევრი; |
| პ) | შორენა ცხოვრებაშვილი | ტელეკომპანია „იმედი,"ჟურნალისტი, კომისიის წევრი; |
| ჟ) | ლაშა ზარგინავა | ჟურნალისტი, კომისიის წევრი; |
| რ) | დათო ლიკლიკაძე | ჟურნალისტი, კომისიის წევრი; |
| ს) | მაია მამულაშვილი | ჟურნალისტი, კომისიის წევრი; |

2. კონკურსში „სუფთა რეგიონი" გამარჯვებულების გამოვლენისათვის შექმნილ კომისიაში დამკვირვებლის სტატუსით მოწვეულ იქნას

| | | |
|---|---|---|
| ტ) | გახაბერ კუჭავა | საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავჯდომარე; |
| უ) | ზაზა ხუციშვილი | საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის პირველი მოადგილე; |
| ფ) | ენძელა მაჭავარიანი | საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე; |
| ქ) | ხათუნა ზალდასტანიშვილი | შვედეთის საელჩოს პროგრამ-ოფიცერი; |

3. დამტკიცდეს „კონკურსში „სუფთა რეგიონი" გამარჯვებულების გამოვლენისათვის კომისიის დებულება" (დანართი №1 ).

4. დამტკიცდეს „კონკურსის „სუფთა რეგიონი" მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები" (დანართი №2)

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი  სოლომონ პავლიაშვილი

## Contest "Clean Region" 2017

On December 2, the award ceremony of the Contest "Clean Region" -2017 was held in the framework of the campaign "Clean Up Georgia" in the premises of Tbilisi City Assembly. The event was organized by the Greens Movement of Georgia / Friends of the Earth-Georgia and the Ministry of Environment and Natural Resources Protection, with support of Tbilisi City Assembly.



The Contest "Clean Region" was announced in April of the current year and it was held in five nominations. The goal of the contest was to identify the country's most clean region, clean municipality , clean city / borough, clean village / community and a beautiful yard.

Representatives of regions, towns, municipalities, villages and population groups participating in the contest were able to send photos and video materials about their residence during the 6 month period of the competition.

On the basis of submitted materials the winners were revealed in the nominations by special commission established within the framework of the contest (including representatives of NGOs, the Ministry of Environment Protection and Natural Resources and the Embassy of Sweden )

**The winners of the Contest "Clean Region" 2017 are:**

Nomination "Clean Region" - Guria Region;
Nomination "Clean Municipality" - Kaspi municipality;
Nomination "Clean City" - City Zugdidi;
Nomination "Clean Village" - Village Orsantia (Zugdidi Municipality);
Nomination "Beautiful Yard" - Paata Gogelia's Yard (Zugdidi).

In the frames of the contest with honorary diplomas were also awarded, Kakha Daraselia, Mikheil Chkadua (Zugdidi) and Avtandil Tukhashili (Sighnaghi Municipality) in nomination “Beautiful Yard”

Honorary Diplomas were also awarded to Zugdidi N (N) LE "Zugdidi Cleaning Service Center" for exceptional activities, Kakheti Regional Administration and “Tbilservis LCC Group” for support of the project.



The award ceremony was attended by the implementing organizations of the project "Clean Up Georgia Phase III" ,Deputy Minister of Environment and Natural Resources Protection Ms. Ekaterine Grigalava, Extraordinary and Plenipotentiary Ambassador of Sweden to Georgia H.E.Martina Quick, Head of Development Cooperartion in Georgia Ms. Molly Lienne; First Deputy Chairman of the Committeed for Environmental Protection and Natural Resources of the Parliament Mr. Zaza Khutsishvili, Member of the Parliament of Georgia, Majority Leader Mr. Archil Talakvadze , Deputy Chairman of the City Council Ms. Marika Darchia, Deputy Mayor of Tbilisi Ms. Maya Bitadze. Representatives of the winner regions of the contest.

In Georgia, the idea of conducting a Contest "Clean Region" first appeared in 2014, and the winners of this year were Samegrelo-Zemo Svaneti region, Akhmeta municipality and village Chitakatskari-Zugdidi municipality. This year, the above -mentioned contest was held for the second time.



The Contest “Clean Region” was organized within the framework of the project - "Clean Up Georgia" (Phase III), implemented by NGO Consortium - " The Greens Movement of Georgia / Friends of the Earth Georgia", Georgian Society of Nature Explorers “Orchis, “Ecological Awareness and Waste Management”, with financial support of the Government of Sweden and in collaboration with the Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia.

## კონკურსი „სუფთა რეგიონი - 2017“

2017 წლის 2 დეკემბერს ქ. თბილისის საკრებულოს შენობაში, პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - ფაზა III“ ფარგლებში ჩატარდა კონკურსი „სუფთა რეგიონი - 2017“-ის გამარჯვებულების დაჯილდოების ღონისძიება.

კონკურსი ჩატარდა ხუთ ნომინაციაში და ითვალისწინებდა ქვეყნის მასშტაბით სუფთა რეგიონის, სუფთა მუნიციპალიტეტის, სუფთა ქალაქის/დაბის, სუფთა სოფლის/თემისა და ლამაზი ეზოს გამოვლენას.



სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ კომისიის მიერ გამოვლენილი გამარჯვებულები:

- ნომინაცია „სუფთა რეგიონი" - **გურიის რეგიონი;**
- ნომინაცია „სუფთა მუნიციპალიტეტი" - **კასპის მუნიციპალიტეტი;**
- ნომინაცია „სუფთა ქალაქი" **- ქ. ზუგდიდი;**
- ნომინაცია „სუფთა სოფელი" - **სოფ. ორსანტია** (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი);
- ნომინაცია „ლამაზი ეზო" - **პაატა გოგელიას ეზო** (ზუგდიდი, ახალაბასთუმანი).

სიგელებით დაჯილდოვდნენ:

- ნომინაციაში „ლამაზი ეზო" - **კახა დარასელია** (ქ. ზუგდიდი), **მიხეილ ჭკადუა** (ზუგდიდი, ახალაბასთუმანი), **ავთანდილ ტუხაშვილი** (ქ. წნორი), **შორენა კოჭლამაზაშვილი** (ლაგოდეხი, სოფ. მაწიმი);
- ქ. ზუგდიდის ა(ა)იპ **„ზუგდიდდასუფთავების ცენტრი"** - განსაკუთრებული აქტიურობისთვის;



- **კახეთის გუბერნია** - განსაკუთრებული აქტიურობისთვის;



- **შპს „თბილსერვისჯგუფი“** - პროექტის მხარდაჭერისთვის.



პროექტს „დავასუფთაოთ საქართველო - ფაზა III“ ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ და „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“. პროექტი

ხორციელდება და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.



დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და ქ. თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით.

დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს თანათავმჯდომარე, ქ-ნი ნინო ჩხობაძე.




დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდნენ პროექტი „დავასუფთაოთ საქართველოს“ განმახორციელებელი ორგანიზაციები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, ქ-ნი ეკატერინე გრიგალავა და სამინისტროს წარმომადგენლები, შვედეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქ-ნი მარტინა ქვიქი, შვედეთის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი, ქ-ნი მოლი ლიენი, საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბ-ნი ზაზა ხუციშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, არჩილ თალაკვაძე, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მარიკა დარჩია, ქ. თბილისის მერის მოადგილე, მაია ბითაძე და კონკურსში გამარჯვებულები.



ნომინაცია ლამაზი ეზო

## ნომინაცია - ლამაზი ეზო

კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებულები:

1. პაატა გოგელია – ზუგდიდი, ახალაბასთუმანი
2. ავთანდილ ტუხაშვილი – ქ. წნორი
3. კახა დარასელია – ქ. ზუგდიდი, სამეგრელოს ქუჩა
4. გოგი ჩქვანავა – ზუგდიდი, ახალსოფელი
5. მურთაზ ნარმანია – ზუგდიდი, კახათი
6. მერაბ ჭკადუა – ზუგდიდი, ახალაბასთუმანი
7. ლაშა ღურწკაია – ქ. ზუგდიდი, ჭყონდიდელის ქუჩა
8. ამირან ხუთკუზია – ზუგდიდი, ჭითაწყარი



# პაატა გოგელიას ეზო - ზუგდიდი, ახალაბასთუმანი























































## ავთანდილ ტუხაშვილის ეზო - ქ. წნორი







# კახა დარასელიას ეზო - ქ. ზუგდიდი











# მერაბ ჭკადუას ეზო - ზუგდიდი, ახალაბასთუმანი



















# შორენა კოჭლამაზაშვილის ეზო - ლაგოდეხი

































# ნომინაცია - სუფთა სოფელი

## კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული

## სოფელი ორსანტია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტი















# სოფელი ორსანტია

| | ყველაზე სუფთა სოფელი - შეფასების კრიტერიუმები | მონაცემები |
|---|---|---|
| 1 | 2015, 2016, 2017 წლებიდან დღემდე რამდენადაა შემცირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა | სტიქიური ნაგავსაყრელები ლიკვიდაცირებულია |
| 2 | სოფლის მოსახლეობის მიერ ნარჩენების პრობლემის მოსაგვარებლად გატარებული აქტივობები | სოფლის ტერიტორიულ ერთეულში ტარდება გზების, მასობრივი თავშეყრის ადგილებისა და სხვა დაბინძურებული ტერიტორიების გასუფთავების, გაწმენდისა და დაგვის სამუშაოები. მუდმივად ხორციელდება სოფლამდე მისასვლელი და სოფელზე გამავალი მთავარი გზების ცელოფნების, პლასტმასის ნაკეთობების, ნარჩენებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგავისაგან გაწმენდის სამუშაოები. |
| 3 | შეგროვების სისტემის არსებობა | ააიპ „ ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ ხდება ნაგვის ურნების დასუფთავება. |

ნომინაცია სუფთა ქალაქი - ზუგდიდი

# ნომინაცია - სუფთა ქალაქი

## კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული

## ქალაქი ზუგდიდი

















| | ყველაზე სუფთა ქალაქი /დაბა - შეფასების კრიტერიუმები | მონაცემები |
|---|---|---|
| 1 | 2015, 2016, 2017 წლებიდან დღემდე ქალაქის ტერიტორიაზე შემცირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა | 2013 - 2017 წლებიდან დღემდე, ქალაქის ტერიტორიაზე ლიკვიდირებულია 22 არალეგალური ნაგავსაყრელი, საერთო ფართობით 2,75 ჰექტარი.<br>ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე 2017 წლის 1 სექტემბრისათვის არალეგალური ნაგავსაყრელები არ ირიცხება. |
| 2 | მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ნარჩენების პრობლემის მოსაგვარებლად გატარებული აქტივობების არსებობა | • ჩატარდა 150-ზე მეტი სხვადასხვა აქტივობა.<br>• ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისიის მიერ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, ადგილზე გასვლით და დათვალიერებით შესწავლილ იქნა ეზოებისა და ქუჩების სისუფთავე. კომისიაზე დაისვა საკითხი გამარჯვებულთა წახალისების თაობაზე.<br>• 2016-2017 წლებში მოსახლეობასთან ერთად, დასუფთავებული იქნა ქალაქის ლტოლვილთა ახალი დასახლების, ბოტანიკური ბაღის, სვანური კოშკის და ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის N6 სასაფლაოს ტერიტორია, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაიწმინდა მდინარეების: ჩხოუშის, სიწწის და კუხხობონუს ავზის კალაპოტები და მათი მიმდებარე ტერიტორიები, აგრეთვე ქალაქის ტერიტორიაზე გამავალი ნაკადულების, წყალსაწრეტი არხების კალაპოტები და მათი მიმდებარე ტერიტორიები, საჯარო სკოლების ეზოები და მიმდებარე ტერიტორიები, 650–ზე მეტი საკუთარი კარ - მიდამო, ტროტუარები და მისი მიმდებარე ტერიტორია; |
| 3 | ორიგინალური ინიციატივების არსებობა ნარჩენების მართვის საკითხებში | „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის„ ინიციატივით, ზუგდიდის მერიის საკრებულომ 2017 წლის ივნისის თვეში მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ააიპ „ ზუგდიდდასუფთავების ცენტრს „ გადაეცა მყარი ნარჩენების მართვის კოდექსის დამრღვევ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიმართ, ამავე კოდექსით გათვალისწინებული ზომების გატარების უფლებამოსილება. კერძოდ სამსახურში შეიქმნა ზედამხედველობის ჯგუფი, რომელიც კოდექსით გათვალისწინებული პირობების დამრღვევ როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირების მიმართ მიიღებს და გაატარებს სანქციებს იურიდიული და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. კერძოდ, გამოწერს საჯარიმო სანქციებს და განახორციელებს ადმინისტრირების სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.<br>ამ სიახლემ ქალაქის ტერიტორიაზე მკვეთრად გააუმჯობესა სისუფთავის მაჩვენებელი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების სეპარირების დანერგვა „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა" და „ნარჩენენების მართვის 2016 – 2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმის" მოთხოვნების შესაბამისად, დაგეგმილია 2020 წლიდან. |
| 4 | ქუჩების დაგვის სერვისის არსებობა | • ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 475 - ვე ქუჩა (13 ათასი კომლი) უზრუნველყოფილია მყარი ნარჩენებისა და ნაგავის გატანაზე მომსახურეობით „კარდაკარ შემოვლის„ მეთოდით.<br>• ქალაქის მოსახლეობის მომსახურეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით ქ. ზუგდიდის მერიის მიერ 2017 წელს შეძენილი იქნა: 2 ერთეული „ მერსედესის „ მარკის , მაღალი გამავლობის ნაგავმზიდი, იგარით იქნა აღებული 8 ღია ტიპის თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული იქნა 116 ცალი , ახალი 1,1 მ3 ტევადობის მეტალის კონტეინერი. |

# ნომინაცია - სუფთა მუნიციპალიტეტი

## კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული
## კასპის მუნიციპალიტეტი



| | „სუფთა მუნიციპალიტეტი"-ს შეფასების კრიტერიუმები | მონაცემები |
|---|---|---|
| 1 | რამდენად არის შემცირებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა 2015, 2016, 2017 წლებიდან დღემდე | 2017 წელს, 16 ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა 21 სტიქიური ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია. ამჟამად არ აღირიცხება სტიქიური ნაგავსაყრელები. |
| 2 | მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა აქტივობა ნარჩენების მართვის კუთხით და მათში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი | პერმანენტულად ტარდება დასუფთავების აქციები. |
| 3 | დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხდება ნარჩენების შეგროვება | კასპის მუნიციპალიტეტის 72 სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება 65 სოფელში. |
| 4 | მუნიციპალიტეტის მიერ შემცირებული დაბინძურებული ფართობი. როგორია ამ კუთხით პროცენტული მაჩვენებელი | |
| 5 | მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გეგმის არსებობა | მომზადებულია ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უახლოეს პერიოდში დამტკიცდება საკრებულოს მიერ. |
| 6 | ორიგინალური ინიციატივების არსებობა ნარჩენების მართვის საკითხებში | |
| 7 | დასუფთავების მოსაკრებლის არსებობა | |

# ნომინაცია - სუფთა რეგიონი

## კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული რეგიონი – გურია






<table>
<tr><th></th><th>„სუფთა რეგიონი“-ს შეფასების კრიტერიუმები</th><th>მონაცემები</th></tr>
<tr><td>1</td><td>რამდენად პრიორიტეტულია რეგიონისთვის ნარჩენების შემცირების მიზნით, გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვა (შეფასება გაკეთდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში ამ სფეროს დაფინანსების გათვალისწინებით)</td><td>ლანჩხუთი - ნარჩენების მართვაზე გამოყოფილია 307,000 ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 1.86%.<br><br>ოზურგეთი - 2015 წლის მთლიანი ბიუჯეტი იყო 18 325 600 ლარი. აქედან ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი იყო 516 000 ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 2,8%).<br><br>ჩოხატაური - ნარჩენების მიმართულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 485 000 ლარს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 4.13%-ია.</td></tr>
<tr><td>2</td><td>რამდენი პროცენტით არის შემცირებული რეგიონებში 2015, 2016, 2017 წლებში პროექტის „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“-ს მიერ გამოვლენილი და აღრიცხული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა.</td><td><table>
<tr><td>აღრიცხული არალეგალური ნაგავსაყრელები<br>Recordedillegal landfills</td><td>დასუფთავებული<br>Cleaned Up</td><td>დარჩენილი<br>Remained</td></tr>
<tr><td>42</td><td>42</td><td>0</td></tr>
<tr><td>დაბინძურებული ფართობი<br>PollutedArea</td><td>დასუფთავებული ფართობი<br>Cleaned Up Area</td><td>დაასუფთავებელი ფართობი<br>Remained Area</td></tr>
<tr><td>24.8</td><td>24.8</td><td>0</td></tr>
<tr><td>ნარჩენის რაოდენობა<br>Quantity of Waste</td><td>ალაგებული ნარჩენის რაოდენობა<br>Quantity of Removed Waste</td><td>დარჩენილი ნარჩენის რაოდენობა<br>QuantityofRemained Waste</td></tr>
<tr><td>34.45</td><td>34.45</td><td>0</td></tr>
</table></td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3 | რეგიონების მიხედვით, იმ დასახლებული პუნქტების პროცენტული აღრიცხვა, საიდანაც ხდება ნარჩენების შეგროვება | ლანჩხუთი - „ლანჩხუთის სერვისი" ემსახურება მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 60%, რაც შეადგენს 22 882 მოსახლეს.<br><br>ოზურგეთი - მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობაა 65 000. სულ მომსახურებას იღებს 39 000 მოსახლე (60%).<br><br>ჩოხტაური - ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს აა(ი)პ კომუნალური სამსახური „სხივი", რომელიც ემსახურება მოსახლეობის 75% (18 500 მოსახლე). |
| 4 | რეგიონების მიხედვით, 2015, 2016, 2017 წლებში, ორგანიზებულ დასუფთავების აქციებში მონაწილე მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა | სულ მოსახლეობა 112.6 ათასი კაცი<br>აქციებში მონაწილეობა მიიღო 15103-მა - 13.41 %. |
| 5 | რეგიონში პროცენტულად რამდენ მუნიციპალიტეტს აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმა | ყველა მუნიციპალიტეტს აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ნარჩენების მართვის ხუთ წლიანი გეგმა |
| 6 | ორიგინალური ინიციატივების არსებობა ნარჩენების მართვის საკითხებში | |
| 7 | რამდენად აქტიურად არის ჩართული რეგიონალური მედია | საკმაოდ აქტიურია |

გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge, www.cleanup.ge